საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-104

ქ. თბილისი

22/01/2021

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „სამხრეთ-კავკასიური მილსადენის“ სისტემისა და საქართველოს მაგისტრალური მილსადენის დამაკავშირებელი გაზსადენის 300 მ-იანი მონაკვეთის მშენებლობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 25 დეკემბერს სამინისტროს მომართა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2006 წელს სამინისტროს მიერ „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“ „სამხრეთ-კავკასიური მილსადენის“ სისტემისა და საქართველოს მაგისტრალური მილსადენის დამაკავშირებელი გაზსადენის 300 მ-იანი მონაკვეთის მშენებლობაზე გაიცა №77 (22.09.2006) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2007 წელს მოხდა „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“ შერწყმა შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“. 2011 წელს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სახელით, რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2006 წლის №77 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 22 სექტემბრის 1035 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2006 წლის №77 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „სამხრეთ-კავკასიური მილსადენის“ სისტემისა და საქართველოს მაგისტრალური მილსადენის დამაკავშირებელი გაზსადენის 300 მ-იანი მონაკვეთის მშენებლობაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №77; 22.09.2006);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 22 სექტემბრის 1035 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი